

Advice for Tourists

Georgian transcript:

რუსო: ნიკა შენი აზრით უცხოელი სტუდენტი, აი ვთქვათ ამერიკელი სტუდენტი რომ ჩამოდოდეს საქართველოში რას ეტყობი, რას ურჩევდი პირველ რიგში?

ნიკა: რას ვურჩევდი?

რუსო: ან რას ეტყობი?

ნიკა: მე ვფიქრობ რომ, ნებისმიერი, არა მარტო სტუდენტი და არა მარტო ამერიკელი, ვინ ჩამო... ვინც გადაწყვიტავს ჩამოსვლას საქართველში ჯერ უნდა შეისწავლოს შორიდან რის... რა უნდა ამ ქვეყანაში, რა.. რა... რისი ნახვა უნდა, რა აინტერესებს და თუ მე მკითხავს ვთქვათ აი მე რომ დამირეკოს ჩემმა ამერიკელმა სტუდენტმა მეგობარმა და მითხრას რომ აი მე მინდა ჩამოვიდე შენთან სტუმრად და აი რა... რას ვნახავ ხო? მე ესეთ რაგაცას ვეტყობი: შენ, აქ ნახავ საქართველოს, ოღონდ აი ზედმეტი ფათოსის გარეშე რა. საქართველოს, როგორც რვაათასი წლის ისტორიის მქონე ქვეყანას; შენ აქ ნახავ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის გადაკვეთის წერტილს; შენ აქ ნახავ საქართველოს, როგორც აბრეშუმის გზაზე მყოფ ქვეყანას, და შენ აქ ნახავ საქართველოს, როგორც კავკასიური ცივილიზაციის დასაწყისს. ანუ აი ეს არის ჩემი აზრით მთავარი მიზეზი რატომაც უნდა ჩამოვიდე აქ ნებისმიერი ადამიანი, არააქ მნიშვნელობა სტუდენტი იქნება ეს თუ არა. დანარჩენი ყველაფერი არის მეორეხარისხოვანი, შენ აქ უნდა ჩამოხვიდე იმისთვის რომ კულტურა გაიგო, კულტურა დაინახო, კულტურა შეისწავლო; ადამიანები ნახო, იმიტომ რომ რეალურად დღესდღეობით საქართველო ადამიანებია ხო? ანუ იქიდან გამომდინარე რაც ვთქვი რომ ნებისმიერი საკითხი წყდება ადამიანურ დონეზე, რეალურად ჩვენი ქვეყანა არის ადამიანებისგან უმთავრესად, და მათი ურთიერთობით. ანუ აქ რომ ჩამოდიხარ შენ უნდა ნახო ურთიერთობა და მერე უნდა ნახო ისტორია.

რუსო: და ქართველ ხალხს შენი აზრით ყველაზე უნიკალური რა ახასიათებს სხვა ქვეყნებისგან გამორჩევით?

ნიკა: ურთიერთობა ერთმანეთთან. ძალიან განსაკუთრებული ურთიერთობაა მთელს ქვეყანაში ერთმანეთთან. ნუ ზოგჯერ ცუდი ურთიერთობა აქვთ, ზოგჯერ კარგი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ რეალურად ჩვენ ყველა ვუყურებთ ამას ესე: ჩვენ ყველა ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ; ზოგი მოგწონს, ზოგი არ მოგწონს, მაგრამ ყველა შენია ხო?

English translation:

Ruso: Nika what would you tell a let's say American student who's coming to Georgia? What would you advise in the first place?

Nika: What would I advise?

Ruso: Or say.

Nika: I think that anyone, not only a student and not only American, who decides to come to Georgia should study it from a distance at first... what does she want in this country, what does she want to see, what is she interested in and if you ask me, let's say my American student friend calls me and says I want to visit you and what will I see? I would tell her something like this: Here you will see Georgia, but without excess pathos. Here you will see Georgia, as a country with an eight thousand year history; here you will see Georgia, as a crossing point of Europe and Asia; here you will see Georgia, as a country located on the Silk Road; and here you will see Georgia, as a beginning of the Caucasian civilization. I think this is the main reason why any person should come here, everything else is of secondary importance, you should come here to understand the culture, to see the culture, to study the culture; see the people, because in reality nowadays Georgia is people right? According to what I said earlier that any question is solved on personal level, in reality our country is made up by people and their relationships. So, when you come here you need to see the relationships and then you need to see the history.

Ruso: And what is you think the trait of Georgian people that sets them apart from other countries?

Nika: Relationships with each other. There is a very special relationship throughout the whole country. Well, sometimes good sometimes bad, but in reality we look at it like this: we all are cousins; some we like, some we don't, but they all are ours.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.